# საქართველოს ეროვნული არქივი




## ანგარიში 2012

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია:

წერილობითი - 5 მილიონამდე დოკუმენტი

ფოტო - 437 625 დოკუმენტი

ფონო - 19 280 დოკუმენტი

კინო - 34 228 დოკუმენტი

წიგნი - 90 590

# 2012 წელს

- ეროვნული არქივის საინფორმაციო-საცნობარო მომსახურებით 50 000-ზე მეტმა მოქალაქემ ისარგებლა

- ცენტრალური არქივების მკვლევართა დარბაზებში 700-მდე მკვლევარმა იმუშავა, მათ შორის 70 უცხო ქვეყნის მოქალაქე იყო





- თამარ მეფის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი მიცემული წყალობის წიგნი, რომელსაც ახლავს მეფის ხელრთვა და ჩვენამდე კალკაზე შესრულებული პალეოგრაფიული ასლის სახით მოაღწია, ეკრანზე გადაიწერა



- სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკამ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაზე დაიწყო მუშაობა

- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ნიტროფუძიანი კინოფირების საცავი, სადაც 8 500-მდე ფირი ინახება

- რესტავრაციისა და მიკროფილმირების ლაბორატორიამ მომსახურება კერძო პირებსა და ორგანიზაციებსაც შესთავაზა, რითაც 10-მდე მოქალაქემ ისარგებლა



➢ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურმა არქივმა 2380 მინის ფოტონეგატივი ციფრულ მატარებელზე გადაიტანა და ხელმისაწვდომი გახადა ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის



➢ საისტორიო ცენტრალურ არქივში დოკუმენტების დიგიტალიზაცია დაიწყო. ძველი საბუთები, ციფრული ასლების სახით, მკვლევართათვის კიდევ უფრო ხელმისაწვდომი გახდა. ამ დროისათვის გაციფრულებულია XI–XIX საუკუნეების დოკუმენტების 80 000-მდე გვერდი



➢ კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალურმა არქივმა 297 მხატვრული ფილმისა და 17 მულტიპლიკაციური ფილმის მუსიკის ფონოჩანაწერები მაგნიტური ფირებიდან ციფრულ ფორმატში გადაიტანა



➢ უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის დოკუმენტების 750 000-მდე გვერდი დასკანერდა და სპეციალურ ელექტრონულ პროგრამაში განთავსა

➢ უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ტექნიკურმა განყოფილებამ დაიწყო შენობება-ნაგებობების დიდფორმატიანი ნახაზების დიგიტალიზაცია. ამ დროისათვის დასკანერებულია 2 247 დოკუმენტი

➢ ამოქმედდა თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ფონოსტუდია, სადაც დაიწყო ახალი აუდიოჩანაწერების შექმნა

# საერთაშორისო თანამშრომლობა

- 2012 წელს ბელგიის სოციალური ისტორიის ინსტიტუტის წარმომადგენლები რიტა კალკონი და მაიკლ ვერმოტი ეროვნულ არქივს ეწვივნენ და 1920 წელს საქართველოში ბელგიელი პოლიტიკოსის კამილ ჰიუსმანსის ვიზიტის ამსახველი დოკუმენტების ელექტრონული ასლები გადასცეს



- ფინეთის ეროვნული არქივის წარმომადგენელმა დიმიტრი ფროლოვმა საქართველოში ვიზიტისას ეროვნულ არქივს ფინეთის ეროვნულ არქივში დაცული II მსოფლიო ომის დროს ფინეთში ტყვედ ჩავარდნილი ქართველების შესახებ არსებული დოკუმენტაციის ასლები გადასცა

- ეროვნული არქივის გენერალურ დირექტორს თეონა იაშვილს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრონისლავ კომოროვსკის მიერ მინიჭებული სასპატიო ორდენი „ოფიცერთა სასპატიო ჯვარი" პოლონურ-ქართულ ურთიერთობებში, კერძოდ, ისტორიული კვლევების სფეროში შეტანილი წვლილისათვის გადაეცა



- თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა ეროვნულ არქივსა და იტალიის რესპუბლიკის კულტურული მემკვიდრეობის სამინისტროს არქივების გენერალურ დირექტორატს შორის

# ერთობლივი პროექტები

- საქართველოს ეროვნული არქივის, „M.T. - Studio–სა" და „კიკალა სტუდიოს" ერთობლივი პროექტის „ძველი და ახალი" ფარგლებში გამოსაცემად მომზადდა ალბომი, რომელშიც შედარებულია საუკუნისწინანდელი რეალობა ანმყოსთან





- ეროვნული არქივისა და „ფოტოსამყაროს" ერთობლივი პროექტით „ეროვნული არქივის ფოტოსამყარო" ისტორიული ფოტოების დაბეჭდვის მსურველებს შესაძლებლობა მიეცათ, ფოტოები ეროვნული არქივისა და „ფოტოსამყაროს" ვებგვერდებზე მოიძიონ და ბეჭდვა პირდაპირ „ფოტოსამყაროში" შეუკვეთონ. ამ მომსახურებით უკვე ისარგებლა 100–მდე მოქალაქემ



- ეროვნულ არქივსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის მიზანია ეროვნული არქივის საქმიანობის შესახებ თსუ–სა და მისი სტუდენტების ინფორმირება, ერთობლივი პროექტების განხორციელება და ინსტიტუციური მიზნების მიღწევის ხელშეწყობა

# 2012 წლის რესტავრაცია ჩატარდა:



- 29 084 ფურცელს
- 328 ფოტოს (6 ალბომი)
- 96 ნახაზს

მათ შორის:

- სადღვთისმეტყველო-ლიტურგიკული თხზულებათა კრებული გულანი (XVI საუკუნე)
- ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიომღვიმის მონასტრისადმი (1123 წელი)
- ძველნაბეჭდი წიგნები (XVIII-XIX საუკუნეები)



- სპარსული კოლექციის 60-ზე მეტი საბუთი (XVI-XIX საუკუნეები)
- გაზეთი „ტიფლისსკი ლისტოკი” (1912-1913 წლებში გამოცემული ნომრები)
- დიმიტრი ერმაკოვის ეთნოგრაფიული შინაარსის ფოტოალბომი, ისტორიკოს ბორის ესაძის ფოტოალბომი რუსეთ-კავკასიის ურთიერთობაზე და თბილისის ვაჟთა I გიმნაზიის ფოტოალბომი (XIX საუკუნე)



# 2012 წლის ეროვნულ საარქივო ფონდს შეემატა:



- 37 674 საქმეში გაერთიანებული წერილობითი დოკუმენტი
- 1154 ფოტო
- 527 ფონოჩანაწერი
- 167 კინოფირი

მათ შორის:

- მუსიკოს ვასილ თამარაშვილის პირადი არქივი
- ქართველი ბალეტის მსახიობისა და ბალეტმეისტერის ალექსი ჟიჟინაძის კოლექცია, რომელიც 1932–1967 წლებში გადაღებულ ფოტონეგატივებს აერთიანებს
- საეკლესიო მეტრიკული ჩანაწერები







- საქართველოს სახალხო არტისტის ომარ კელაპტრიშვილის შემოქმედების ამსახველი ვიდეოკადრები და მისი აუდიოჩანაწერების დიდი კოლექცია

## 2012 წლის გამოცემები:

- „ძველი და თანამედროვე ქუთაისი"
- "სოფიკო – 75"
- 2013 წლის კალენდარი






## 2012 წელს გაიმართა გამოფენები:





- სოფიკო – 75
- საქართველო – ევროპული წიგნი
- საქართველო – ისტორია და თანამედროვეობა (ვარშავა)
- ეროვნული არქივისა და უნგრეთის საელჩოს ერთობლივი გამოფენა
- ძველი და თანამედროვე ქუთაისი
- საქართველოს მოპარული ისტორია
- ვანო ქიქოძე – ფერადი ტაო-კლარჯეთი
- ეგეოსის, შავი და კასპიის ზღვების პორტები (თესალონიკი)
- ვახტანგ VI






# 2012 წელს ეროვნული არქივი მონაწილეობდა ღონისძიებებში:

- ილია აბულაძისადმი მიძღვნილი II საერთაშორისო კონფერენცია (თბილისი)
- საერთაშორისო კონფერენცია „ტაო-კლარჯეთი" (ბათუმი)
- საერთაშორისო სამუშაო შეხვედრა „სომხური კოლოფონები" (ბოლონია)
- რესტავრატორთა საერთაშორისო კონფერენცია (თბილისი)
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „სამხრეთ დასავლეთი საქართველო – ისტორია, არქეოლოგია, ეთნოგრაფია" (ბათუმი)
- პორდენონეს უხმო ფილმების 31-ე ფესტივალი (იტალია)
- თბილისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალი












# 2012 წელს ეროვნულ არქივში:




- სტაჟირება გაიარა 48 სტუდენტმა და კურსდამთავრებულმა



- პრაქტიკა გაიარა 36-მა სტუდენტმა



- ტრენინგი გაიარეს შპს „ბი-ემ-სი გეორგიასა" და სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგის" არქივების თანამშრომლებმა



- ეროვნული საარქივო ფონდში დაცული დოკუმენტებთან დაკავშირებით ლექცია მოისმინა სკოლის 500-მდე მოსწავლემ

საქართველოს ეროვნული არქივი
National Archives of Georgia
www.archives.gov.ge